

მოზას და აკვირდება რა დღევანდელ სინამდვილეს, ჩვენი დეპუტატი ბოლოს თითქმის იხნის თავს გამოუკვეთლობიდან და ამბობს: „რომელი ადგილობრივი საკითხი გნებავთ აიღეთ—თქვენ დაინახავთ, რომ შეუძლებელია სიტყვათ: აქ საერთო კითხვას, საერთო პოლიტიკას ადგილი არ აქვს“.

ამგვარად, გამოირკვა, რომ რუსეთში ადგილობრივ საკითხებს ადგილი არა აქვთ, რომ ყოველივე ცენტრალურ მმართველობის ბეჭედი აკრავს და მისი დაუყოვნებელი ანაფრის გადაწყვეტა არ შეიძლება. დიდად, ეს არის არსებული სინამდვილე. მაგრამ არსებული სინამდვილე ერთია და ის, რაც უნდა იყოს მეორეა. თუ ბან ჩხეიძეს ჰგონია, რომ ჩვენ არსებულ სინამდვილეს ანგარიშს არ უყენებ, ძალიან სცდება, ძალიან სცდება, როდესაც კისერზე გავხვევს იმ აზრს, ვითომ ჩვენ საიმპერიო პოლიტიკის მნიშვნელობას, დღევანდელ პირობებში, უარ-გყოფდეთ. ხოლო სცდება იმაშია, თუ მას ჰგონია, რომ პოლიტიკური მმართველი პარტია უნდა დღემოდ ჩაიხრის ამ არსებულ სინამდვილეს და ცენტრალურ მთავრობას მიანდოს იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რა უნდა იყოს „ადგილობრივი“ და არა „სახელმწიფოებრივი“. ჩვენ ყოველთვის ვგმობდით ს.დემოკრატების ცენტრალურ პოლიტიკის მოქმედებას, რომელშიც, მართალია, არ სჩანდა და არ სჩანს საზღვარი ცენტრალურ მმართველობის კომპეტენციისა. დღეს კარლო ჩხეიძეს წერილშიაც მოსჩანს ეს განუსაზღვრელობა კომპეტენციებისა. ჩვენი დეპუტატი არსებულ სინამდვილესთან თითქმის გამოსავალ კარს ვერ ხედავს და ჩვენც უნდა მოგვამწყვდილოს ამ სულის შემზოვან ზღუდეში. იგი ამბობს: „ჩვენი მოპირდაპირების ბრალდებითი ოქმის უმთავრესი მუხლი ამბობს: ჩვენ ბურს.დემოკრატის პრაქტიკიდანაც და თეორიიდანაც განდევნილი აქვს ადგილობრივი კითხვები. როცა აღინიშნულ კითხვებზე პასუხს მოგვცემენ, მაშინ აღმოჩნდება, რომ მდინარე საბუთიანი და სამართლიანია მოყვანილი ბრალდებითი მუხლი: მაშინ შევითვალთ ჩვენი და ჩვენი მოპირდაპირების განსხვავება „ხერხეულა თუ ქვეყნულე, არსებითი თუ წვრილმანნი“.

აი რაში ყოფილა საქმე. არსებული სინამდვილე, ცენტრალიზმის გაუმართაობა ზრდა-ვითარება თურმე ჩვენც უნდა დავისახოთ პრაქტიკულ მოქმედების საფუძველად. და თუ ეს არ ჩავიდინეთ, აღმოჩნდება, რომ ჩვენს შორის განხეთქილება არსებითია და არა წვრილმანნი.

ამგვარად, ჩვენი დეპუტატი წინვე გამარჯვებულია. ასე ჰგონია მას. მაგრამ ცოტათი რომ შესდგეს, საგანს დაუფიქრდეს, თავის ნალაპარაკებში ჩაიხედოს, დარწმუნდება, რომ მისი წერილი გამომსახველია იმ კრიზისისა, რომლისაც განიცდის დღეს ყოველი შეგნებული და სიანიდისიერი ქართველი სოციალდემოკრატი ნაციონალურ საკითხის გადაჭრის გამო. კარლო ჩხეიძეს მიერ დაყენებული კითხვებში ჰგონია, რომ ადამიანის დაზნევის და გაურკვევლობის ამ დაზნევის და გაურკვევლობის იგი თავის მოპირდაპირეთ აწერს, მაგრამ ეს გარეგნულია, მას თვითონაც არა სჯერა, რომ მისი მოპირდაპირე უარ-ყოფდნენ საიმპერიო პოლიტიკის მნიშვნელობას. კარლო ჩხეიძე ამ ხერხს მიმართავს (იქნებ შეუგნებლად) მხოლოდ იმიტომ, რომ მას თითქმის აღარა სწამს ის განსაზღვრა „ადგილობრივი“ და „სახელმწიფოებრივი“ ვისა, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა დღემდე. ცენტრალურ მმართველობის მადას საზღვარი არა ჰქონია. იმის თვალში ყოველივე სახელმწიფოებრივი, ყოველივე უნდა ექვემდებარებოდეს მპყრობელ გროვების ინტერესს და იღებს. „ადგილობრივი“ გათქვეფრულია საერთო

შე, უკეთ ვსთქვათ გაბატონებულ კლასების სურვილში. და უდღეოდ და დუდგრომელი ხდება არა მარტო ფინლიანდის კონსტიტუციის სვე-ბედი, არამედ იმ ადგილობრივ საკითხების სვე-ბედიც, რომელიც ს.დემოკრატიულ გროვებზე პრაგმატის მუხლებშია ჩამოთვლილი. მდგომარეობა მძიმეა, გარემოება გართულებულია და აქედან საზოგადო მოღვაწისთვის, განსაკუთრებით კი, დეპუტატისთვის გამოსასვლელი ორი გზა არის მართკიდურად. მან ან მთავრობის თვალსაზრისით იქნას უნდა გახადოს, ან იღვას თავის საკუთარ თვალსაზრისზე. კარლო ჩხეიძე პირველ გზას თითქმის არ ირჩევს. მას უნდა საკუთარ ნიშნად ადგეს დგომა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მან აღარ იცის დღეს, რა უნდა იყოს საერთო და რა კერძო, რა უნდა იყოს ნაციონალური ადგილობრივი და რა სახელმწიფოებრივი. მართალია, ამას დეპუტატი არ ამხელს, არ ამბობს, მაგრამ ეს აზრი ამოსჭერტს იმის წერილიდან.

დეპუტატი ჩხეიძე კითხვას სვამს და არა სჩანს, ვინ არის ამ კითხვის დამსმელი. ვისთვის არ არის გამორკვეული, თუ რა არის ადგილობრივი და რა სახელმწიფოებრივი? ცენტრალურ მთავრობისათვის? არა. მას ეს საკითხი გადაწყვეტილი აქვს. ფინლიანდელისათვის? არა? ისინი უფლებიან და კონსტიტუციის ნიადაგზე სდგან. და მათთვის უცნობელია ის აზრი, რომ მათი „ადგილობრივი თვალსაზრისი“ ავალგებს მათ ფინლიანდის სახელმწიფოებრივობის პრინციპის დაცვას და რომ ყოველი ცვლილება ურთიერთობაში რუსეთსა და ფინლიანდის შორის ავტონომიურ პარლამენტის თანხმობით უნდა გადასწყდეს. ფინლიანდელი და ინტერესებულნი არიან იმაში, რომ რუსეთის პრაგმატული ნაწილი იმის მხარეზე იყოს, მაგრამ ისინი თავის დღეში არ დასთანხმდებიან ავტონომიურ უფლებათა შემცირებაზე და ამ უფლებათა აღდგენას არ „შეუდგებიან“ ცენტრალურ პარლამენტში გაგზავნილ დეპუტატების მეშვეობით. ისინი წინააღმდეგნი არიან ამ დეპუტატების იქ გაგზავნისა. ასე რომ ფინლიანდელთათვის მათი კონსტიტუცია საზღვარს „ადგილობრივი“ და „სახელმწიფოებრივი“ და მათივე კონსტიტუციამ უნდა შეიტანოს ცვლილება ამ მცნებათა განსაზღვრაში, თუ რომ ამ ცვლილების შეტანა საჭირო გახდება ცენტრალურ მთავრობის ძალადატანებით. აქ არის ფინლიანდის საკითხის ძირითადი მხარე. აქამყოფილებს თუ არა ამგვარი განსაზღვრა ბან ჩხეიძეს? ერთის მხრივ, აქამყოფილებს, რადგან იგი მომხრე უფლებრივობისა. მეორეს მხრივ კი, თითქმის არა, რადგან ფინლიანდელეზი უარს ამბობენ ცენტრალურ პარლამენტში მოქმედებაზე. მას თითქმის ცენტრალურ პარლამენტის მეშვეობით ჰყლის ფინლიანდის ავტონომიის დაცვა. და იგიროგორც წევრი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა, მართალია. მაგრამ გამომდგემა თუ არა ამგვარი თვალთსაზრისი ფინლიანდელთათვის? არა.

ამგვარად, გადაწყვეტა იმისი, თუ რა არის „ადგილობრივი“ და „სახელმწიფოებრივი“ სხვა და სხვა, ერთნი ასე სწვეტენ, მეორენი სხვა-ნაირად. და ძალთა განწყობილებაზეა დამოკიდებული ის, თუ პრაქტიკაში რომელი აზრი გაიმარჯვებს და მოიპოვებს კანონის ძალას. ძალთა განწყობილებაზე დამოკიდებული იმის გადაწყვეტა, რა აფიქრებს დღეს ჩვენს დეპუტატს, იგი, ის, თუ „სად თავდება ფართო თვით-მმართველობის საზღვარი და სად იწყება კომპეტენცია ცენტრალურ მმართველობისა“. რაკი ეს ასეა, ჩვენ, როგორც დაინტერესებული მხარე, იმის ცდაში უნდა ვიყავით, რომ გაგმარდეთ, მოვიპოვოთ ძალა, წარვდგეთ ქვეყნის წინაშე როგორც განსაზღვრული პო-

როვნება, რომელსაც საკოცნლე მოძულეებული არა აქვს და უკეთესი მომავალი სწუყრია.

ის მიმართულება, რომელსაც ეკავათ ბან ჩხეიძე, სწორედ ამ ნიადაგზე იდგა, როდესაც მან საქართველოს ავტონომიის პრინციპი აღიარა. საქართველოში, ჩვენი აზრით, უნდა მოიპოვოს ერთგვარი სახელმწიფოებრივობის უფლება, იმ ხასიათისა, როგორი უფლება აქვს დღეს ფინლიანდას. ასე რომ, როდესაც ჩვენ ადგილობრივ საკითხებზე ვლაპარაკობთ, ამ ადგილობრივ საკითხებში ვგულისხმობთ საქართველოს სახელმწიფოებრივობას, რომელსაც, მართალია, სუვერენიტეტის ხასიათი არა აქვს, ხოლო რომელიც მაინც რჩება ერთგვარ სახელმწიფოდ (თეორიაში, ჯერ-ბნობით). სასაცილოა არა? დაცვენილი გრი, რომლის პრაგმატული ელემენტები დღემდე რჩებიან შემანახველნი იმაში, თუ რა მოვლის და რა ესპერანობა ქართველ ხალხს, და სახელმწიფოებრივი პრინციპის ნატერა! სასტიკმა ბედმა ყოველივე წავართვა, ნატერა და შეგვრჩა. მოდი ახლა ეს ნატერა წავატაროთ! ამას ვერ მოახერხებთ და ამიტომ არის, რომ ჩვენთვის „ადგილობრივი“ იგივე არ არის, რაც მოსკოვის გუბერნიის მცხოვრებისათვის. ამიტომ არის, რომ როდესაც დღევანდელი მოსკოველი მოქალაქე აქცევს უპირატეს ყურადღებას ადგილობრივ საკითხებს, მისი ფსიქოლოგია დიფერენციალურია. „ადგილობრივი“ ფსიქოლოგიამდე, ხოლო როდესაც ჩვენ არ ვგდებთ ხელიდან ჩვენს „პროვინციულ“ დროშას, ვაშკარავებთ მხოლოდ ჩვენს სიმტკიცეს და სურვილს საერთო სამშვირო საქმეებში მონაწილეობის მიღებისა ამ დროშის ხელმძღვანელობით. გამომდინარეობს თუ არა აქედან საჭიროება ცენტრალურ პარლამენტში მოქმედების? დღევანდელ პირობებში გამომდინარეობს. რაც შეეხება მომავალს, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. საქარა თუ არა ჩვენთვის რუსეთის ოპოზიციაში ყოფნა? საჭიროა. მხოლოდ ჩვენი მოქმედების გეგმა პარლამენტში (თუ რომ ამგვარი მოვალეობა გვდომოდა წილად) არ დავმსგავსებოდა კარლო ჩხეიძის და იმის ამხანაგების მოქმედებას. შესაფერ-მომენტში ჩვენ წამოვაცემდებით რუსეთის სათაბოროტო საქართველოს ავტონომიის საკითხს და დაუდებლად უფლებრივ საფუძველს ჩვენს ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელების საქმეს, დღევანდელ დროს კი ჩვენ ვიქნებოდით ოპოზიციაში, ხოლო ვილაპარაკებდით იქ რომ, გარკვეულ დემოკრატიულ ინტერესების ტერმინოლოგიით და თვალთსაზრისით. მთავრობის პოლიტიკის გაკიცხვა შესაძლებელია ჩვენი ცხოვრების და ჩვენი ისტორიის ფაქტებით და მაგალითებითაც. გადაშალეთ მე-XIX საუკუნის საქართველოს ისტორია, რა სურათი დაგეხებათ, რა ფაქტებს და შემადგენელ ამბებს ამოიკითხავთ იქ! გქონდეთ უფრო-თოვესი იდეალი, ხოლო თუ თქვენ მოახერხებთ და ეს „პროვინციული“ მასალა საიმპერიო პოლიტიკის კრიტიკის დროს გამოიყენეთ, ამითი დაამტკიცებთ, რომ თქვენ მართლა ყოფილიხართ ქართველ ხალხს წარმომადგენელი და ამასთან აზრის სიმაღლე შეგწევთ და ამ კერძო და ადგილობრივ ინტერესებს და ფაქტებს საზოგადო და სახელმწიფო ხასიათის მნიშვნელობას აკუთვნებთ. ინტელექტუური აზროვნება ამ გზას მისდევს ხოლო, —პატარაზე გარეკრობებულიდან გადის იგი უნივერსალურამდე. ბრძენი პოლიტიკოსი და ნამდვილი შვილი თავის ხალხისა! ასე ირჯება ხოლო. მიყრუებულ პატარა, დაჩაგრულ ერის საქმეებით დაინტერესებს ცენტრალურ დაწესებულების წარმომადგენლებს. ჩვენი დეპუტატები კი სხვა-ნაირად ირჯებიან. საქართველოს გახსენება თითქმის სათაქლო საქ-

მედ მიანიათ. თუ პიროვნების ხელუხლებლობაზე, მაგალითად, ლაპარაკი ივანე კალიტას დროიდან მოყოლებული დღევანდელ დრომდე გადასწავლენ რუსეთის ისტორიას. და დღეს გამოფხულ ძალადობის სურათს დასაბუთებენ არა ჩვენი ცხოვრების მაგალითებით, არამედ პეტერბურგის, მოსკოვის, კრასნოიარსკის და ბევრი ბევრი საქარში მომხდარ ამბებით. ჩვენ იმისი თქმა არ გვინდა, რომ ყოველივე ამაზე ლაპარაკი მეტია, არა, გვინდა ესთქვათ მხოლოდ, რომ ჩვენმა დეპუტატებმა ადგილობრივი წარმომადგენლობის პრინციპი უნდა დავიცვათ და საზოგადო ხასიათის საკითხს პროვინციულის და ადგილობრივ ნაციონალურის მასლით უნდა არკვევდნენ. ამით დეპუტატი არა საქმეს ემსახურება, თავის ნაციონალურს და საზოგადო სახელმწიფოებრივს. ნაციონალურს უნდა ემსახუროს იმიტომ, რომ სახელმწიფო ჩაგრულ ნაციის ყურადღებას არ მიაქცევს, თუ რომ ერმა თვითონ არ ამოიღო ხმა, არ აღაპარკა უფლებათა დათრგუნვაზე. სახელმწიფოებრივს უნდა ემსახუროს იმიტომ, რომ ამგვარი მოღვაწეობა გადავიღებს ნაციონალურ საკითხის გადაჭრას და დეპუტატის სხვა ერებისადმი სოლიდარობის გრძნობასაც დაემაყოფილებს.

აი, ბან კარლო, სად ჰპარხია იმ უკმაყოფილების მიზეზი, რაინელიც არსებობს თქვენდამი და თქვენს ამხანაგებისადმი იმ წერებში, რომლებსაც თქვენს იდეურ მოწინააღმდეგეთ უწოდებთ. ამ უკმაყოფილების ცხოველყოფილობას თქვენ აშკარად გრძნობთ (არა ერთხელ გამოაცხადებთ იმის წინააღმდეგ პარტეტს, მაგრამ თქვენ ვერ გავიგათ, რა წყაროდან წარმოსდგება იგი და რითი საზრდოა იგი უკმაყოფილება. ეს პარტეტსია ერის ერთი ნაწილისა, რომელიც გულის სიღრმეში ჰგრძნობს რაღაც სიმწვავეს, რომ ყოველ გამველ-გამომეღვრის გასათელ მოედინა ვახდით და ჩემს ამოძღვრებაში არავინ გვიჩანს კლრისებასა და პატიოსნებაზე საზოგადო, განყენებულად ხშირად ლაპარაკობთ ტრიბუნად, დაჩაგრულებსაც ხშირად იხსენიებთ, ეს დაჩაგრულები მუშები, პროლეტარები, მშრომელნი არიან, ამ დაჩაგრულები სიათაბოროტო საქართველოში და ფინლიანდელიც მოკვეთიან ხოლო, ხოლო არასოდეს ქართველი ხალხის გაბიარებას, დამცირებას და დაჩაგრვას არ აუწყებთ ქვეყანას, თითქმის სოციალისტს არ ეკადრებოდეს ამისთანა ჩვენშიწვდნა. საგანზე ლაპარაკი. ჩვენი ისტორიული უფლება ფეხებით გასთელეს. თქვენ სდუმხარ, ხოლო ფინლიანდის ისტორიულ უფლებას კი დაიცავთ. კარგად იცნობთ, ხოლო ჩვენ რაღა დავიშავებთ? ჩვენს ძველ ეკლესიებს ანგრევენ და მათ ავალგებ საპყრობილე ყაზარმების მღვდელ რუსის მონასტრებს აგებენ. ჩვენს ენას მოხელენი პირუტყვის ენად სთვლიან. თქვენ გადღვებთ ამგვარივე ამბები ხოლოში და პოლონეთში მომხდარი, საქართველოს შესახებ კი კრინტს არა სძრავთ და სხვა და სხვა და სხვა.

მეტყვით, სიმართლეს მოკლებულია ეს, მუდამ ვაშს კავისიაზე გვაქვს ლაპარაკი, კავკასიის შპროკონსალური საკითხები, კავკასიის შპრომელ ხალხს გასარკვევი და გასასინჯი აქვთ ათასგვარი კერძი, ნაციონალური საკითხები, კავკასიის შპრომელ ხალხის სოლიდარული მოქმედებისათვის ჯერ ხნობით ნიადაგი მზად არ არის. ამ ნიადაგის შემადება საჭირო და ამიტომ კავკასიის შემადგენელ ელემენტების, მათი განსაკუთრებული ხასიათის და სურვილების ყურადღებით შესწავლა და გაცნობა საჭირო. თქვენ კი, ჩვენებურ ადმინისტრატორებსა-

ვით, ყველას ერთ ფარგალში ათავსებთ და ჯერ კიდევ მოუფრებელი ინტერესები, მოუწესრიგებელი ცხოვრება, გამოუსახველი და საერთო ფიზიონომიის მოკლებული კავკასიის პრობლემა გინდათ ერთი საზომით, ერთი კრიტერიუმით გადაწყვიტოთ და აშკარა ვერც ამ პრობლემას გადაწყვეტთ ამ გზით. ვერც რუსეთის მოწინავე საზოგადოებას დაანახებთ იმას, რაც ხდება ჩვენს მხარეში, და ვერც კავკასიის თვითველ ერის დემოკრატიულ ნაწილს სამსახურს გაუწყებთ.

დადგება დრო და ჩვენი ამორჩეველი, ცხოვრებაში მეტად გამოცდილი და პოლიტიკურად მეტად მომწიფებული, მოსთხოვს ამგვარ ანგარიშს თავის არჩეულ კაცებს. და მოვა დრო და თქვენც გაიგებთ, რომ უნდადგეთ და უნაყოფო პოლიტიკა გვიტარებ. იქნებ გზაიც გვსჩანო, იქნებ იმიტომ დაწყეთ ლაპარაკი, რომ სინილის მოსვენებას არ გაძლევთ და თქვენს მოქმედებას ახალი ორიენტაციის საშუალება გინდათ გამოუჩნაოთ?.. თუ ვცდებით ამაში, მაშინ მართალინ ხართ, რომ ჩვენს შორის განსხვავება ზერელე კი არ არის, არამედ არსებითია.

ბრძოლა ალბანიაში

სალონიკი. ბრძოლა ფერიაზოვის მისაღობებში ალბანელებისთვის უნაყოფოდ გათავდა. ხუთი ბატალიონი პრეტენდიან შეუერთდა იმ ჯარს, რომელიც კაჩანკის ხეობაში იყო. ოსმალეთის ჯარმა დაიჭირა ამ ხეობის შესავალი. უმთავრესი ნაწილი ხეობისა. ალბანელებს უჭირავთ.

ვენა. „ნეიფ ფრეი-პრესსაში“ დაბეჭდილია ალბანურ ენის ცნობილ პოპულარისტის, დერვიშის ხიმა-ბეის ნალაპარაკები სტამბოლულ კორესპონდენტთან. ხიმა-ბეის ძალიან გაუცხადეს ალბანელი დეპუტატები, რომელნიც უმთავრესად ოსმალები და ჩერქეზები არიან. ხიმა-ბეის აზრით, უმთავრესი მიზეზი ალბანელებთან აჯანყებისა უკანონო გადასახადი, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ დაუწესა კოსოვოს ვილაეტში. ალბანელები უკმაყოფილონი არიან აგრეთვე ლიბაში ქორეპისკოპოსად სერბილის დანიშვნისა. არ მოსწონთ ალბანელებს ამასთან დაპირებანი დუნაის-დრიატის რკინის გზის შესახებ. ხიმა-ბეის სიტყვით, ეს გზა ალბანელების საზარაოდ გამოადგომს სამხრეთ-სლოვანების გავლენას. ალბანელები, უთქვამს ხიმა-ბეის, თავის დღეში არ აყრიან იარაღს; ამ იარაღის წყალობაა, რომ სერბებისა და ჩერნოგორიის ჯერ არ დაუსაქუთრებიათ ნოვაგრაზარის სანჯაყი.

სტამბოლი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ მეამბოხენი კაჩანკის ხეობაში დამარცხებულ იქნენ და რომ ივეი უშიშარ მდგომარეობაშია. დაპატიმრეს ალბანელთა ბევრი ბელადი.

განთქმულნი დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა. როგორც ამ ცნობიდანა სჩანს, ალბანელები რკვეთიერებიან და მიუღიათ რეზოლიუცია, რომ ალბანელები კანონიერ მბრძანებლად სცნობენ ეხლანდელ სულთანს და რომ ისინი დაიცვენ იმ პერიას. კრებას დაუდგენია, ითხოვოს, რომ ალბანიაში გაიგზავნოს საპარლამენტო კომისია და დროებით გადაიდოს რეფორმების შემოღება. ალბანელებს ფიცი დაუდგიათ ძალით დაიცვან თავიანთი დადგენილებანი.

დღეს დეპუტატი პალატა შეუდგა ალბანელ დეპუტატების წინააღმდეგის განხილვას. ამ დეპუტატებმა წინადადება შეიტანეს პალატაში, რომ ალბანიაში გაიგზავნოს საპარლამენტო კომისია.

დეპუტატი პალატა. პალატის სლომაზე არ არიან ალბანელი დეპუტატები. მათ თათბირი აქვთ შინაგან საქმეთა მინისტრთან, თუ შეთანხმდნენ, ალბანელი დეპუტატები უკან წაიღებენ. დეპუტატი, წინააღმდეგის საპარლამენტო კომისიის გაგზავნის შესახებ.

სალონიკი. გაუშინ, ბრძოლის შემდეგ კაჩანკის ხეობაში, შეფუტ-ტურგუტ-ფაშა მკირე რაზმის თანხლებით სპეციალურის მხარებელით მივიდა კაჩანკში, საიდანაც ალბანელები წავიდნენ. სალონიკი მივიდა მთელი საექსპედიციო კორპუსი. დღითი კორპუსი ხელ-შეუშლელად შევიდა ხეობაში. ალბანელებმა ნება ყოფლობით გასწმინდეს კაჩანკის ხეობა და წავიდნენ მიგებში. რკინის გზა ხელუხლებელია. მიმოსვლა აღდგენილ იქნა.

გავლენიანი ალბანელი ხაჯი-ომერ-ბეგირი, რომელიც ძველ სულთანს აბდულ-ჰამიდს არა ერთხელ გაუგზავნია ალბანიაში შესარიგებელ მისიით, ეხლა მთავრობამ გაგზავნა ალბანიაში. გზად მიმავალი ობერ-ბეგირი სალონიკში ჩამოხტა.

სათადარიგო ჯარის-კაცებმა კავალსა და სერასში განაცხადეს, კაწავალთ ალბანიაში მათა სისხლის დასაღვრელად. მართალი არ გამოდგა ის ხმა, ვითომ ალბანელ აფიცრებს ულტრატივში წარედგინათ მესამე კორპუსის უფროსისთვის —სამსახურს თავს გვანებებთ თუ ექსპედიცია განაგრძით.

სალონიკი. კაჩანკის ხეობის შესავალში მშვიდობიანობაა. ალბანეთთა ნაწილი ჩასაფრდა მიუვალ მიგებში, ნაწილი-კი წავიდა გელიანის მხარაში, სადაც მათ უნდა იმოქმედონ ოსმან-ფაშის ჯარის წინააღმდეგ. ჩერნოგორიის მიდამოებში კვლავ მოიყარეს თავი ალბანელებმა. გაიგზავნა ჯარი მათ გასაფრთხელად. როგორც ისმის, ალბანელები ბლომად შეკრებულან აგრეთვე დიაკოვისა და იბეკის მიდამოებში. აქ მაშველი ჯარი გაიგზავნა. სალონიკში გაიგზავნა ორი ბატალიონი. ეს ბატალიონები ალბანიაში წავლენ. სალონიკში მოვიდნენ იტალიის სამხედრო გემები: „ვიტტორიო ემანუელე“, „კაოტრიტი“ და „რეგინა ელენე“.

სალონიკი. ზემო მარაგაში კვლავ ბრძოლა. სოფელ პრაგლოვოს ზარბაზნები დაუშინეს. პრადენიერ სახლი დააქცეს. დიაკოველი ალბანელები სოფელ ნახოვში დაეცნენ ჯარს. სოფელი დაქაულია.

პრიბრენის მიდამოებში მშვიდობიანობაა. მიმოსვლა ქალაქთან აღდგენილ იქნა. ტელეგრაფი და ფოსტა მოქმედებენ. ოპეკში მშვიდობიანობაა. ალბანელები წავიდნენ ჩახლობელ მიგებიდან. გზა დაკოვოსა და პრიბრენსა და იბეკს შეუშეკრა. ტელეგრაფი და ფოსტა უწყვეტელია. მიდამოები ალბანელების ხელშია. ალბანელები კვლავ თავს იყრიან ჩერნოგორიის მიდამოებში.

სპარსეთი. ურმია. შეისი კადრი ამადით სტამბოლს წავიდა. იგი დიდის ამბით გახდა მისი სფერო ქუთათა ტომების ბუადებში. შეისმა სოქა, დავარუნდებო. ფიქრბეგ, რომ იგი დაბრუნებას ეგდარ მოახსენეს. სხვები ფიქრბეგ, რომ შეისი სახელი ინტერვიუებთ დაბრუნდება.

თიერანი. სეპესდარი მთელის კაბინეტის თანხლებით მეჯლისში მივიდა და განაცხადა, რომ კვლავ დაწყო მოქმედება ქველმა კაბინეტს ჩემის თავმჯდომარეობითა. სამხედრო მისიისტად იქნება სადა, შინაგან საქმეთა მისიისტად —სეპესდარი. თეირანის გუბერნატორმა ბრძანება გასცა, შეუდგნენ ხაფხის დაწერას. სამხრეთში საქმე გართულდა. კაშანის მახლობლად უჩაღებმა დაამარცხეს შირაზში გაგზავნილი ფიდაების რაზმი. კახურში შეიკრიბნენ შეისები და ბასტიარის ხანი, გადაეყენებუდ ხანის მომრე. შირაზში არ იდებენ თეირანის დაბრუნებას გუბერნატორს.

უწყვე- დევს. როგორც ეტყობა, სახლი დან უნდა მისულისკნ ზოგბული მზრახველი და აქედან ჭარხნ

